„მუშათა განთავისუფლება—მუშათა საქმეა“

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთა მაშვრალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ნაკადი

ფასი 1 მან. 50კ.

№ 34 კვირა 13 ივლისი 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

დღეს გაზეთის შინაარსი:

1) საქართველოს ბედი.
2) საქართ. რესპუბ. მუშათა და გლეხთა მოძრაობა და მისი რევოლიუციონური სულისკვეთება.
3) კვირეული.
4) ურთიერთშორის პასუხის გებლობა და სოლიდარობა მუშათა კლასის ბრძოლაში.
5) ლექსი ?
6) საქ. რევოლ. სინდიკ. მაშვრ. კავშირის პროგრამის ზოგადი დებულებანი.
7) დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია.
8) წერილი ოზურგეთიდ.ნ.
8) ჟურნალ-გაზეთებიდან.

დედა-ქალაქი ივლისი 13 1919 წ.

საქართველოს ბედი.

როგორც არა ერთხელ გაგვიცხადებია, მიუხედავად იმისა, რომ მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში და საბოლოოდ თავისუფლების დამყარებაში სახელმწიფოებრივ მუშაობას პრინციპიალურად უარვყოფთ, მაინც დიდის ინტერესითა და გულმოდგინეობით ვეპყრობით რუსეთის დიდ რევოლიუციაში მოპოებულ ეროვნულ თავისუფლებას. ჩვენ კარგად ვხედავთ, თუ როგორ აფერხებს მუშათა კლასის სათანადო მიმართულებას ეროვნული ჩაგვრა, იგი ათანხმებს მას. ხშირად მოწინააღმდეგე კლასებთან და აბნელებს მის კლასობრივ თვითშემეცნებას. რევოლიუციის ქურაში გამომწვარი საფრანგეთის მუშებიც კი ჩაითრია შოვინისტურმა ბურჟუაზიამ საერთო ვითომდა ეროვნულ ზეიმში და დროებით დაავიწყა თავის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობა. და ეს იმიტომ, რომ 1870 წელს პრუსიის მილიტარიზმმა დიდი ჭრილობები მიაყენა ფრანგების ეროვნულ გრძნობას და დღეს საფრანგეთის ერი თავს ვეღარ იკავებს დაბალი და ბოროტი შურისძიებისაგან. ამ თვალთაზრით, დამარცხებულ გერმანიაშიც, თუ ახალმა მოვლენამ არ შესცვალა ვერსალის ზავის ხასიათი, დიდხანს იქნება ერთგვარი ალიანსი დემოკრატიული ბურჟუაზიასა და მუშათა კლასის ნაწილის შორის მაინც. და ეს ალიანსი შელახულ და შეურაცხყოფილ ეროვნულ გრძნობებზე დაემკვიდრება, ეროვნული მონობის განცდა. ვიმეორებთ, იგი ხელს უშლის მუშათა კლასის ბრძოლის სათანადო განვითარებას. ამიტომ ჩვენ დიდად ვაფასებთ რევოლიუციის ცეცხლში მოპოებულ ეროვნულ თავისუფლებას, რასაკვირველია, მხოლოდ ამ საკითხით ვერ ვკმაყოფილდებით და მუშათა მოძრაობის შეურყეველ მიმდინარეობაზე ვზრუნავთ, მაგრამ ამავე დროს დიდის ყურადღებით თვალყურს ვაქცევთ საქართვე. ბედილბალს. ლონდონიდან ჩამოსული საქართველოს წარმომადგენელი, ბ. დ. ღამბაშიძე, გვარწმუნებს, რომ ინგლისელები ჩვენდამი მეგობრულად არიან განწყობილები და გვირჩევს მათთან კეთილ დამოკიდებულებას.

ჩვენ ცოტა ეჭვის თვალით ვუცქერით ამ რჩევას, რადგან ამიერ-კავკასიაში ინგლისის სარდლობის მოქმედება სულ სხვა რამეს გვეუბნება; ყოველ შემთხვევაში არა მეგობრობაზე მიგვითითებს იგი. უნდა გულახდილად ვსთქვათ, ბურჟუაზიული ევროპის იმედი ჩვენ არამც თუ გვაქვს, დიდ ცრუმორწმუნოებად მიგვაჩნია ასეთი ფიქრიც კი. ის ინგლისი, რომელმაც სისხლის მორევში გაბანა მრავალტანჯული ირლანდია და ბევრი სხვა ქვეყანა; ჩვენთვის მფარველი მეგობარი არ იქნება. ჩვენ რევოლიუციური ევროპის იმედი გვაქვს. ეს არის ჩვენი სასოება, ჩვენი გამამხნევებელი.

ჩვენ რევოლიუციის შვილები ვართ, იგია ჩვენი ცხოვრების დაუძლეველია სტიქია და გვირჩევნია მის განმწმედულ ალში ჩვენც დავიღუპოთ, ვიდრე კვლავ მეშჩანურ-მეწვრილმანურ სულისკვეთებას ვეზიაროთ. რეაქცია გაიმარჯვებს? ჩვეს ეს არ გვაშინებს, ბნელს თან მოჰყვენ განთიათი და ჩვენც გვეღირსება მზიანი დღე.

საქართველოს რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მოძრაობა და მისი რევოლიუციონური სულის კვეთება.

1.

ქართველ მუშებსა და გლეხებს დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობის ისტორია არ გვაქვს. საქართველოში პირველად პოლიტიკური მოძრაობა ჩაისახა ინტელიგენციაში, იგივე ინტელიგენცია პოლიტიკური მიზნით შეიჭრა ქართველ მუშებსა და გლეხებში და აღძრა მუშათა და გლეხთა მოძრაობა. ქართველ მუშათა და გლეხთა მოძრაობის ისტორია არ შეიძლება ჩაითვალოს წმინდა კლასიურ მოძრაობათ შემდეგი მიზეზით: **პირველი**, იმიტომ „რომ ქართველ მუშათა მოძრაობას ოცი წლის გამავლობაში იდეიურად უმთავრესად ასაზრდოვებდა პოლიტიკური მიზნები. **მეორე**, ქართველი მუშათა მოძრაობა ისტორიულად არ განვითარებულა სხვა ქვეყნის მუშათა მოძრაობის მიხედვით, არამედ ჩვენი მოძრაობა აღძრა კლასთა გარეშე მდგომმა ინტელიგენციამ უმთავრესად პოლიტიკური მიზნისთვის. **მესამე**, მიზეზი რომელიც ამ უდიადეს რთულ მომენტში თვალსაჩინოდ დაემჩნა ქართველ მუშებსა და გლეხებს, როგორც კლასის გარეშე პოლიტიკური მოძრაობის წევრებს, მდგომარეობს იმაში, რომ ქართველ მუშათა და გლეხთა ორგანიზაციულ შემადგენლობაში იმ თავიდან შედიოდა დიდი უმრავლესობა მხოლოდ პოლიტიკურად დაინტერესებული პირები. ამნაარად კლასიურად დაინტერესებული უმცირესობა ქართველ მუშებისა და გლეხებისა დასაწყისიდან შეიქმნა გათქვეფილი პოლიტიკურად გატაცებულ უმრავლესობაში და, რაკი ერთხელვე იგდო მუშათა მოძრაობის ინიციატივა ხელთ ქართველმა წვრილმა ბურჟუაზიამ და მისმა ინტელიგენციამ. ძნელი შეიქმნა ქართველ პროლეტარიატს და ღატაკ გლეხკაცობას გამოეგლიჯა ხელიდან თავის კლასიური საქმიანობა არა მკითხე აპეკუნებისათვის.

რა იყო მიზეზი რომ ერის უმრავლესობამ მუშათა მოძრაობას შეაფარა თავი? ამის დახასიათება დღემდის თუ ძნელი იყო: დღეს ნათელი უნდა იყოს ყველასათვის.

დღევანდელმა საქართველოს თავისუფლება ნათელჰყო ის აზრი, რომ ასი წლის მონობას საქართველოში ძლიერ გაუზრდია პატრიოტიზმი, რა თქმა უნდა ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქართული პატრიოტიზმის მესვეური არ ყოფილა ბრწყინვალე წოდება და არც ეკონომიურად წინ წასული მსხვილი ბურჟუაზია, წარსულ საუკუნეში, ბრწყინვალე წოდება დაეცა და მის მაგივრად მსხვილი ბურჟუაზია ვერ განვითარდა, მაგრამ სწავლა-განათლებით ძალიან წინ გაჰქანდა ქართველი ერი, ერში კი, სწავლა-განათლება ხელთ იგდო უმთავრესად წვრილმა ბურჟუაზიამ, რომლისგან წარმოშობილმა ინტელიგენციამ. ერის პოლიტიკური მესვეურობისათვის უარყო ჩვენში საძაგელი ისტორიის მქონე ბრწყინვალე წოდება. აშკარაა ბურჟუაზიული პოლიტიკისაც ერცხვენებოდა და არ ეხერხებოდა იმისათვის რომ ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზია უმთავრესად უცხოელთაგან შესდგებოდა, ამიტომ მიმართა მან ჩვენი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს, ერთი იმიტომ რომ ქართველ ინტელიგენციის უმრავლესობას ძალიან ახლო ნათესაობა ჰქონდა მამაპაპით მუშებთან და გლეხებთან, მეორეც იმისთვის რომ ქართველ ერში მხოლოდ ეს ორი ძალა იყო წმინდა ქართული სისხლის და მონობის მძიმე უღლისგან გაურყვნელი. მესამე ამ კლას შეეძლო ჩვენი ინტელიგენციის უხმო ჯარისკაცობა შეესრულებია, რადგან მას არც სხვა ჰყავდა კლასიურ მესვეურად და არც თვითონ ჰქონდა ნაცადი თავისი მესვეურობა..

დათა ნიჟარაძის წოდება ძეგველოვ-ხარაშვილის ან ხოშტარიას კლასი ჩვენს ინტელიგენციას ჯარის კაცათ არ გამოადგებოდა, ეს ადრევე შეიგნო წვრილი ბურჟუაზიის ალღოს ამღებმა ინტელიგენციამ და ცეცხლითა და მახვილით შეებრძოლა თავად-აზნაურთა წოდებას და არ დაზოგა ის კლასიც, რომლისკენაც როგორც დღევანდელმა დღემ აშკარათ დაამტკიცა სულით და გულით მიისწრაფოდა ქართველი მუშათა და გლეხთა ხელმძღვანელობის ბურჯი ვითომდა სოციალისტური ინტელიგენცია.

აი მიზეზი ქართველი ერის გასოციალისტებისა, ქართველ თავად-აზნაურობამ ეროვნული პატრიოტიზმი დაასრულა მეთვრამეტე საუკუნეში მეცხრამეტე საუკუნეში ერს და მის პატრიოტიზმს გამოეთხოვა რომანტიკოს ალ. ჭავჭავაძით ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანებით და ნ. ბარათაშვილით.

მსხვილ ბურჟუაზიის პატრიოტიზმი კიდევ რამდენიმე ათეულ წლებით იქნება ფეხდაურდომილი და ენა მოკლე საქართველოში. პოლიტიკური ,ორგანიზაციის შექმნა იკისრა საქართველოში და თავისებური ელფერი მისცა პატრიოტიზმს მუშათა და გლეხთა მოძრაობის სახელით, ქართველი წვრილი ბურჟუაზიამ და მის მესვეურმა, მესამე დასმა ბ-ნ ნოე ჟორდანიას ლიდერობით.

ამ ჯგუფმა სამი დიდი მისია შეასრულა საქართველოში **პირველი** მან ქართული პატრიოტიზმი მუშათა და გლეხთა მოძრაობის სახელით მართლა საერო პატრიოტიზმად გახადა და დააგვირგვინა ეროვნული თავისუფლებით კიდეც. **მეორე** წვრილი ბურჟუაზია ყველა ქვეყნის მხდალია, და სხვა კლასებს მისჩანჩალებს უ კ ჩვენს ქვეყანაში მესამე დასის მეოხებით მუშათა და გლეხთა მოძრაობის სახელით თავის ხელქვეითებში დაითანხმა ქართველი მუშები და გლეხები და მათი ძალაუფლებით დაიმორჩილა საქართველოს უცხო და შინაური ბურჟუაზია, ბრწყინვალე და სასულიერო წოდება, რითაც მოახდინა ერის მთლიანი ორგანიზმად ქცევა. **მესამე** გაბედულება ამ ჯგუფისა გამოიხატა იმაში, რომ თუმცა მარქსისტულ დროშით გამოვიდა და დღესაც მას აფარებს თავს მაგრამ სრულიად არ მოერიდა მარქსის კანონებს და პირნათლად შეასრულა მისი წვრილი ბურჟუაზიული კლასის კლასიური მოვალეობა მიწის კანონით სახელმწიფო ქონების დატაცებით და პოლიტიკური ბატონობით ერთი ასად გააძლიერა ქართველი წვრილი ბურჟუაზია.

ასე რომ ქართველმა წვრილმა ბურჟუაზიამ დააგვირგვინა მუშათა და გლეხთა მოძრაობის სახელით თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა საქართველოში და ნამდვილ მუშებში და ღატაკ გლეხკაცობაში დასტოვა ორი ბუნდოვანი არა რევოლიუციონური სულისკვეთება.

პირველი ნაწილი ქართველ პროლეტარებისა და ღატაკ გლეხკაცობის ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულან რაც მოხდა, რისთვის მოხდა და რად, მხოლოდ გრძნობს უძლურია თვითონ თავისი კლასიური ინტერესების დაცვაში და შველას გარედან მოელის.

მეორე ნაწილმა კი ჩაიქნია ხელი და სრულ აპატიას მიეცა შემდეგი ქართული თქმულებით: „ეჰ მთა და ბარი ვის გაუსწორებია, რომ ჩვენ გავასწოროდ“ ბედნიერი და უბედური, მდიდარი და ღარიბი, მუშა და ბატონო, მუდამ ყოფილა და იქნება კიდეც. ამას აშკარად ხედავს ჩვენი პოლიტიკური ლიდერი წვრილი ბურჟუაზია და უხვად აქცევს მუშების და გლეხების გასაბრუებლად პოლიტიკურ სპირტს არიქა ვიღუპებით შეუკრად მთლიანი ფრონტი რევოლიუციის დასაცავად, რას გვატყუილებთ ბატონებო ნუ თუ თქვენგან ჩვენს ტყვილებას საზღვარი არ უნდა ჰქონდეს? ჩვენ განა არ ვხედავთ რომ რევოლიუციის მონაპოვრის შენარჩუნება ერთი და იგივე წესით სწარმოებს ფინეთსა,პოლონეთსა, ადერბეიჯანსა, სომხეთს და საქართველოში, ამათში რევოლიუციის მონაპოვარის დასამარებაში თურმე განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ზემოდ ჩამოთვლილ ზოგ ადგილებში პროლეტარიატი დაიმორჩილა მსხვილმა ბურჟუაზიამ ძალით საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილმა ბურჟუაზიამ მოტყუილებით, აი საქართველოში განვითარებული ყალბი მუშათა და გლეხთა მოძრაობა და მისი დღევანდელი შედეგი.

სინდიკალისტი

კვირეული

**

მარტო ისპანიის მუშებისა და გლეხების მღელვარებით არ ამოიწურება შინაარსი ამ კვირის. მთელი სერიები რევოლიუციონურ ტალკვესის: ინდოეთი; ქაირი, კანადა და მუდამ მაძიებელი თავისუფლების ირლანდია. მისი მშფოთავი სული ისევ აიჭრა ტრიბუნებზე და მოუწოდებს მამულიშვილებს! არ ისმის მხოლოდ ფრანგი მუშების ალბად „ევროპის სალტე“ ჩვენს ცნობის მოყვარეობას დროებით „აწვალებს“... იტალიის მიდამოები კი—მორცხვად, მაგრამ მაინც აწითლებას აპირებენ! ალბად თენდება...

**

რუსეთში ხმლებს აკენწლავებენ მხოლოდ. ქარიშხალის დროს ყოველთვის ასეა—ხდება წინასწარი სიჩუმე, გარინდება მიდამოების დენიკინი მიუახლოვდა უბედურებას! უკრაინის გრძელ ულვაშებით გლეხებიც ემზადებიან. მზვერავთა სამხედრო არშიყობა დაიწყო... კოლჩაკ! ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა, სადაც ცხრა მთას იქით, სამარცხვინოდ „ისვენებს“ ალბად.

საზოგადოდ რუსეთში ეს კვირა საქმეთა მოწესრიგების კვირაა, ჯარების გადაჯგუფება, ღენერლების თათბირი, მოწოდებები და სხვა. მოსალოდნელია ჩრდილოეთის ცა ელვანარევ ღრუბლებით შეიბურვოს!

**

საქართველოში ახალი: საკუთარი ფულის ნიშნების გამოცემის დეკრეტია, ცოტა დაგვიანდა მაგრამ. სჯობია გვიან, ვიდრე არასოდეს! წარმოუდგენლად არაფერი არაა მისაღები ცხოვრებაში. დამოუკიდებელი რესპუბლიკა და ამიერ-კავკასიის ბონები! იმას ნიშნავდა—თავი ტფილისში, ფეხები—ერივანსა და ბაქოში.

**

დავით ღამბაშიძის ჩამოსვლამ ბევრი ახალი მოგვიტანა. სხვათა შორის ისიც, რომ სოსიკო მდივანს ლოიდ-ჯორჯი აწი თურმე ხმას არ გასცემს!

ასეა—ფრიდრიხ დიდი ევროპაში იყო—ერეკლე მეორე აზიაში! სოციალისტ-ფედერალისტების ფიზიანომაც რომ სცოდნიათ?? სახიფათო საქმეა! „სახალხო საქმეს“ მართებს აწ კილო და წერის მანერა გამოიცვალოს!

საქმე სხვანაირად წასულა...

**

სოც.-დემოკრატიაში რაღაც „რეული ლაპარაკი დაიწყო!..

მაგალითად „განი“ სწერს „ნაციონალიზაცია რკინის გზის საპირფარეშოებს რათ უნდოდათ ვინმე დაიბნევაო: ან ტრამვაის „ქართული წარწერა, ქუჩების სახელი მაინც რა საჭირო იყოვო“... „ელი“ უპასუხებს: „რას ბრძანებთ ვინც რუსული არ ბცის და მხოლოდ ქართულით კმაყოფილდება იმას რა ეშველებაო“.. ჯერ მმართველ პარტიას გადაწყვეტილი არ ჰქონია ეს საკითხი! ალბად ამის ბრალია, რკინის გზის მინისტრი ხან იტყვის „ახლა ქართულად სწერეთ“, ხან კიდევ „ახლ რუსულათაო“. რომელი რა დროსაა მართალი ვინ იცის! ლოგიკა კი ყველგან ერთია: რუსულიცა გვაქვს ქართულიც—ჯამში კი არაფერია!

**

„მაფალუს“ საქმეა სასაცილო! დადიანებმა დაათავეს, დანელიები იწყებენ;ბატონს კაცი გაექცა—ჩიბურდანიძეს მიენდო! ვეშაპელი რას არ გამოსძებნის! სამეგრელოს რესპუბლიკა გვაკლია! პრეზიდენტის რეზიდენცია ალბად ქალმქ ბანძაში იქნება—სასახლე ურიაკარში! საქმე შემოლეული ხალხი! ასე იცის ძალაუფლების სიყვარულმა!..

**

ბურჟუაზია გაერთიანებას აპირებს!.. ნაციონალ-დემოკრატები, რადიკალ-დემოკრატები და სხვა კიდევ ვინმე დემოკრატები ერთად იქნებიან! სწორი ხაზია, სწორი ალღო! ჩვენში მართლაც სუსტნი არიანი ისინი და მთლიანობა ურჩევნიათ! პროლეტარიტისთვის ფრონტული ბრძოლა სჯობია პარტიზანულს და ამ მხრით მოპირდაპირე ბანაკის მთლიანობა სასურველია.

სოციალისტები? ალბად ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის...

**

გაზეთები „აშხატავორი“, „რაბოჩი“ და „საქართველო“ ერთად წააწყდენ საფლავს და სავანეს! შინაგან საქმეთა სამინისტრო ფხიზლობს! „საქართველო“ „ახალის“ სახით აღსდგა! სხვები განისვენებენ!

**

ამიერ-კავკასიის კონფერენცია ისევ აპირებს შეკრებას! ბევრი თავსამტვრევი კითხვაა გასარჩევი. სომხების გაბატონებული პარტია გაჭირვების ჟამს ისევ მოკურცხლავს! ეხლა დენიკინი მაინც და მაინც საფრთხილო არაა! დაშნაკელებიც მოვლენ და... შემდეგ ალბად... წავლენ ისევ! ასე იციან!

პოღოს-ნური-ფაშა კი, წასვლით წავიდა, მაგრამ მოსვლას აგვიანებს—დიდ სომხეთს ახლაფოთებს—აქ, საქმე უფრო რთულია!..

**

ადერბეიჯანი დიდ-ძალ ბენზინს გვიგზავნის! მადლობის მეტი არა ეთქმის რა! მაგრამ ნავთის გამოგზავნასაც თუ გაიხსენებს კიდევ უკეთესი! მაინც ბევრი აქვს! გლეხები მამასისხლად ყიდულობენ ჩვენში, გაიფდება.,. რაკი დენიკინის შტაბი ვერ შემოეპარა ადერბეიჯანს, აწ იმედიანად შეუძლია უცქიროს მომავალს. ერის თავდაცვას სიფხიზლე უნდა!

**

ქართველ მუშებს სატარიფო პალატა გვაქვს! იქნებ აწი მაინც ეშველოს ჩვენს გაჭირვებას რაც კარგი იქნება ღმერთსაც და კაცსაც იამება, ვისურვოთ „პალატამაც“ გადაგვარჩინოს საარსებო გულის ფეთქას!

**

სპეკულიანტები! შეგვჭამა ამ ხალხმა! არც ხვეწნა არც მუდარა და არც მუქარა... ყოველნაირი ზომის წინააღმდეგ ბრძოლა ეხერხებათ!.. ჰადიც გაძვირდა ლობიოც! ახლა ხოლერაც ჩამობრძანდება და მერე უცქიროთ სეირს! საშინლებაა ამ სპეკულიანტების ბრეყალებში ყოფნა, რა გვიშველის არ ვიცი! იმედიანად მომავალს მხოლოდ მაგინი უცქერიან! ხვალინდელი დღე ჯიბეს უსქელებს! დადიან ქეიფობენ. ამინდი არა აქვთ თუ!

ამით სრულდება თითქმის ეს კვირა!..

ს. კოლხიდელი.

ურთიერთმორის პასუხისმგებლობა და სოლიდარობა მუშათა კლასის ბრძოლაში*)

„კმაყოფილება
ყველასათვის“.
(**მ. ნეტლაუდან**)

თუმც მეტი ნაწილი მაშვრალთა კლასისა და თანამედროვე საზოგადოებისა, თანაუგრძნობს პროლეტარიატს და კლასობრივ ბრძოლას, მაგრამ დიდი შეცდომა იქნება წინასწარ ვიფიქროთ, რომ, ის ნაწილი მასისა, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაღვიძებიათ მაღალი გრძნობები, არ შეხებიათ საკაცობრიო პროგრესიული იდეები, გრძნობდეს სიმპატიას ორგანიზაციული შრომის მიერ ბრძოლით მოპოვებულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებისადმი. და მართლაც, რომ მასსა იცნობდეს მუშათა კლასის იდეებს, რომელიც წყაროა ინტელექტუალური და სოციალური სიცოცხლისა, განა თანამედროვე წესწყობილება იარსებებდა?

მხოლოდ ეს შეუგნებლობა-სიბნელე, რომელიც მუდმივი მტერია კაცობრიობისა, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ხშირათ მაშვრალთა და მშრომელთა დიდი ნაწილი რჩება გარეშე აქტიური კლასობრივი მოძრაობისა, რჩება შორიდან მაყურებელი კაპიტალისა და სიცოცხლის შეტაკების დროს. კიდევ მეტი: მრავალი მათგანი მტრულის თვალით უყურებს მუშათა კლასის ბრწყინვალე გამარჯვებას.

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, მეოჯახე, წვრილ-ოლშვილიანი მუშა, რომელიც სიამოვნებით თანაუგრძნობს მუშათა მოძრაობას, გაფიცვას მაღაროებში ან სხვა რომელიმე ინდუსტრიის დარგებში. ის მზად არის ნაწილი თავისი შრომისა გადასცეს შეთქმულთა ფონდს კლასიური ბრძოლის გასაძლიერებლად. მაგრამ, იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ ამ მუშის ოლმა, რომელიც ძლივ-ძლივობით ასწორებს ოჯახის მოთხოვნილებებს, გაიზიაროს, აღფრთოვანებით შეხვდეს ქმრის ქველმოქმედებას, სიმპატიური გრძნობით შეხვდეს შეთქმულ მუშების მოძრაობას. ამ შემთხვევაში დიასახლისი დარწმუნებულია, რომ შეთქმულებას ოჯახის ეკონომიური შევიწროვება მოყვება: საქონლის ღირებულება გადიდდება და ის მუშის სამუშაო ხელფასი, რომელიც უდრის ერთ მეათასედს მისი საზოგადოებრივი შრომისას, სრულებით ვერ დაკმაყოფილებს მუშის და მისი ოჯახის გონებრივ, ფიზიკურ და ესტეტიურ მოთხოვნილებებს. ყოველ შემთხვევაში თუ მუშის და მის ამხანაგ-მეუღლეს შუა ღრმა განხეთქილება არ იქნება. მაინც არ შეიძლება იქნეს სრული თანხმობა და ერთსულოვნება მათ შორის სოციალურ კითხვების გადაწყვეტაში.

ამნაირად ამდაგვარი შეთქმულებები საზოგადოდ თითქმის სრულიად არ სცვლის არსებულ ეკონომიურ მდგომარეობას და ზნეობრივ მხარეებს მუშათა კლასისას, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მუშები გამოდიან სრული გამარჯვებულნი კაპიტალისტებთან ბრძოლაში. ჩვენ ამით ის კი არ გვინდა ვსთქვათ, რომ ვითომც და უარვყოფდეთ ეკონომიურ ბრძოლაში გაფიცვებს; სრულიადაც არა—პირიქით ჩვენთვის რევოლიუციონურ სინდიკალისტებისათვის, შეთქმულება, გაფიცვა საყოველთაო გაფიცვა, ს.ყოველთაო სარევოლიუციო გაფიცვა მუშათა ტიტანურ ბრძოლას წარმოადგენს, ის დედა ძარღვია, რეგულიატორია პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლისა.

იდეა საყოველთაო გაფიცვისა ჩვენს მსოფლმხედველობას, რომელიც ერთმა რევოლიუციონურმა მუშათა ჯგუფმა უკვე ჩამოაყალიბა, და აციკროვნებს, ზრდის და შარვადენდით მოსავს. სხვანაირად პროგრამად და მისგან გამომდინარე მსოფლმხედველობა უბრალო მკვდრის ჩონჩხს წარმოადგენს.

ასეთია თანამედროვე პოლიტიკური სახელმწიფოებრივი პარტიების პროგრამა.

მაშასადამე ჩვენთვის რევოლიუციონურ სინდიკალისტებისათვის უმთავრესი სახსარი კლასობრივი ბრძოლისა არის. ეკონომიური გაფიცვები მაგრამ არა ისეთი ცალმხრივი და უფერული, რომელიც დღემდის პეტიციების წერაში და კომპრომისებში გამოიხატებოდა, არამედ პირდაპირი, შეურიგებელი, შინაარსიანი, მრავალფეროვანი, ფართე და შეგნებულ დიდ რიცხვთ პროლეტართა მონაწილეობით.

დიახ, ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ ასეთი ცალმხრივი უკეთ რომ ვსთქვათ ბურჟუაზიული (ბურჟუაზიული მისთვის რომ ამ შემთხვევაში ის უფრო აძლიერებს ბურჟუაზიის კაპიტალს) გაფიცვები არსებითად არავითარ ცვლილებას არ ახდენს მუშათა ცხოვრებაში, რადგანაც მას მოჰყვება ხოლმე ეკონომიური რეაქცია: კაპიტალისტები სოვდაგრების, წვრილი და სხვილი ვაჭრების საშუალებით გადიდებულ სახით იბრუნებენ მომხმარებელ საზოგადოებისაგან ყოველივე იმას, რაც კაპიტალისტებმა დაუთმეს მუშებს ეს კი ყოველივე აუტანელი მძიმე უღლად აწვება უდიდეს ნაწილს მომხმარებელ საზოგადოებისას—ღარიბ-ღატაკ მუშათა კლას, ასეთი სულის კვეთება, ასეთი პირობები წარმოშობს აპატიას, მოდუნებას, გულცივობას, უიმედობას, უნდობლობას.

ამისათვის საჭიროა გამოვძებნოთ ერთგვარი მეთოდი ბრძოლისა, რომელიც სავსებით შეესაბამებოდეს ეკონომიურ მუშათა გაფიცვებს.

მუშათა კავშირებმა და მათი სულის ჩამდგმელმა რევოლიუციონურ სინდიკალისტებმა უნდა დააინტერესონ მუშათა, მაშვრალთა და მშრომელთა კლასები არა მარტო ზნეობრივი მხარეები არამედ მატერიალური მხარეებიც გაფიცვებისა და შეთქმულებებისა, რაც დიდ წინმსვლელობას მისცემს მუშათა კლასის მოძრაობას. მომხმარებელი საზოგადოება, მატერიალურად დაინტერესებული აღმოუჩენენ დიდ დახმარებას შეთქმულთ და გაფიცულ მუშებს, ვიდრე ფულების აკრეფა და სიმპატიის მოპოვება.

მომხმარებელ საზოგადოებას, თუ კი ის ერთსულოვნებით აღიჭურვა და მჭიდროდ შეკავშირდა, შეუძლია და კიდევაც უნდა დაადვან კაპიტალისტებს ბოიკოტი—ეს უძლიერესი იარაღი მუშათა კლასის ეკონომიური ბრძოლისა.

ასეთია პირველი ჩემი დებულება, საიდანაც ცხადია გამომდინარეობს თვით მოქმედებაც: მუშათა კავშირებთან—სინდიკატებთან ერთად პარალელურად უნდა აღმოცენდეს და მოქმედებდეს მუშათა მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირები, რომელთა დანიშნულებაა ჩაერიონ საერთაშორისო მუშათა კლასის ბურჟუაზიასთან ბრძოლაში და ბოიკოტის საშუალებით შეაჩერონ დაუსრულებლივი მადა კაპიტალისტებისა.

მეორე ჩემი ერესი ეხება მუშათა პასუხისმგებობას მოვალეობის, შრომის. საქმის აღსრულებაში. ამ მუშათა პასუხისმგებლობაზე თითქმის თანამედროვე ხანამდის სიტყვაც არ დაძრულა. ჭეშმარიტებაა რომ ყოველი ადამიანი შრომობს, მაგრამ განა ყოველი ადამიანის, ჯგუფის ან კლასის შრომა ამდიდრებს კაცობრიობის სამეცნიერო და საეკონომიო სალაროს? არა, შრომა მოავალგვარია: შრომობს იურისტი, როდესაც ის ბორკილებს უყრის მებრძოლს, თავისუფალ აზროვნებისათვის შრომობს ჯალათი, ოდეს ის გასამთლული ბაწრით მეამბოხეს სამ ბოძზე სულს ამოწვლის, შრომობს ჯაშუში, მილიციონერი-ჟანდარი, ბურჟუა-კაპიტალისტი, მაგრამ მათი შრომა არავითარ ღირებულებას არ ქმნის და არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადო სასარგებლო შრომათ. მათი შრომა არა თუ არ ქმნის არავითარ ღირებულებას, პირიქით არღვევს შრომის პრინციპებს, არბევს შრომის ორგანიზაციას და ობობისებურ სწუწნის მუშათა კლასის მიერ დაგროვილ სოციალურ ენერგიას.

მიუხედავათ ამისა თანამედროვე საზოგადოება პატიოსან და კეთილშობილ მუშაკებათ სთვლის ყველა იმას, ვინც ჯამაგირისათვის მსახურებს და არ ითვალისწინებს თუ რას ქმნის და ან რა ნაყოფი და შედეგი მოაქვს ამა თუ იმ შრომას.

აღმაშფოთებელია, შემაძრწუნებელია ის საზოგადოებრივი მოვლენა თუ სადამდის მიდის ადამიანის ზნეობრივი გახრწნილება, ოდეს სხვადასხვა პროფესიასა და საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანთა შორის ხდება შეცილება, რომ დაიკავოს ალაგი ჯალათ-ჯაშუშებისა. განა უმთავრესი სულიერი მისწრაფება მრავალი ადამიანისა არ შეიცავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს გახდეს მპრძანებელი—პოლიციელი? განა პოლიციელებს, (მილიციონერებს, კომისარებს), ჯარისკაცებს და სამღვდელოებას არ ასუქებენ ინგლისელ ღორებივით სახელმწიფოს მზარეულები, ოფიციანტები და სხვა მრავალნი ღარიბ-ღატაკნი სულითა?

განა იმათმა არ იციან თუ რა მხეცურ ძალას უნდა მიმართონ ოდეს ისინი პირისპირ წარსდგებიან მუშათა შეიარაღებულ ამბოხებასთან? ინგლისის ჯარისკაცებმა—მოხალისეებმა ძაან კარგად იციან, რომ იმათი დანიშნულება „სამშობლოს დაცვაში“ არ გამოიხატება, იმ სამშობლოს, რომელზედაც სრულიად არავინ ფიქრობს თავდასხმას, ინგლისის დაქირავებულმა ჯარისკაცებმა კარგად იციან, რომ მათ მოუხდებათ საშინელი შეტაკება აზღვავებულ მუშათა მოძრაობის ტალღებთან, მათ მოუხდებთ დაწყნარება თავიანთი აჯანყებულ ძმებისა და ჩაქრობა ცუდად შეიარაღებულ ველურების და კოლონიების ამბოხებათა. სახელმწიფოებრივმა, პოლიციურმა და ბიუროკრატიულ მოხელეთა ჯარმა—ძლიერ კარგად იცის, რომ იმათ მოუხდებათ ამ აჯანყებების და ამბოხებების ჩაქრობა საშინელი შეუბრალებელ ხალხის ხოცვა-ჟლეტით, რათა ჩაახრჩონ ახალი მიმდინარეობა მუშათა კლასის მოძრაო-

---

*) გაგრძელება იხ. „ახ. ნაკ. № 28.

ბისა სათავეშივე, დასაწყისშივე და შეუშალონ ხელი მათ გავრცელებას. აი ის ჯოჯოხეთისებური სურათი, რომელსაც მოგვცემს სახელმწიფოს მოხელეთა კორპუსი რევოლიუციათა ეპოქაში.

მიუხედავად ყოველივე ამისა მრავალი ახალგაზრდობა უსირცხვილოდ ასრულებენ პოლიციელის ჯალათის და ჯაშუშის როლს.

სად არის აქ სწორი აზროვნება, სად არის აქ პირადი პასუხისმგებლობა თავისი „მეს“ წინაშე, სად არის ადამიანის ცხოვრების სრული სინიდისი—საუკეთესო შინაგანი სულიერი მსაჯული ადამიანისა. დიახ, მათში ყოველივე გაჰქრა; ისინი უსულოთა უგულო ავტომატიური ელემენტებია სახელმწიფოისა და დაინგრევა რა ფილისტ მთლიანების ტაძარი, ისინი ქვეშ მოყვებიან სახელმწიფოს საფლავში.

ჩვენ ვიცით, რომ გარდა ზემომოყვანილი პოლიციელთა რაზმებისა, სახელმწიფოს სხვადასხვა ფუნქციებში იყრის თავს ცხოვრებიდან გაჩრიყულნი ადამიანები. სახელმწიფოთა ისტორიებიდან ცნობილია, რომ მათ არასოდეს არ აკლდათ რიცხვი, არც მეგაჟეებისა, არც ბინების ქირის და მიწის ღალის ამკრებთა აგენტებისა, არც წვრილი და მსხვილი მოხელეთა, არც მომჩივანთა, არც მსაჯულთა და ვექილთა რიცხვი; პირიქით ამ ბინძურ სამარცხვინო საქმეს ეტანებოდა და ეწაფვის დღესაც უშრომო ინტელიგენცია ბუნებისაგან განდგომილი.

ყველა ჩამოთვლილი ჩემ მიერ არა სოციალური ჯგუფები შეადგენენ სულ მცირედ ნაწილს კაცობრიობის პარაზიტთა კლასებისას, რომელთაც სამუშაო მკლავები აწარმოებენ არა სასარგებლო საზოგადო შრომას და მათი რჩენა თავზე აწვება მწარმოებელ მუშათა კლასს—საზოგადოებას.

საზოგადოებრივი აზრი კი, მიჩვეული მრავალ მსჯელობას ადამიანობაზე, განათლებაზე, ზნეობაზე, მატალ იდეებზე, სრულიად არ ამჩნევს არსებობას თავიანთ შორის მტაცებელ კაცმხეცებს და თუ ოდესმე მომენტი საზოგადოებას დაანახებს არსებობას მათში კაცმხეცებს, მოიგონებს მათ მხოლოდ იმისთვის, რომ შეიბრალონ ისინი როგორც უდანაშაულო მსხვერპლი თანამედროვე წესწყობილებისა.

(შემდეგი იქნება)

იანეთელი პროლეტარი.

საქართველოს რევოლიუციონერ სოციალისტ მაშვრალთა კავშირის პროგრამის ზოგიერთი დებულებანი.

მოკლე განხილვა მთავარი მუხლებისა.

3. სახელმწიფო,

კაპიტალისტურ წესწყობილების მთავარი დამცველი და დარაჯი სახელმწიფოა, რომელიც ბევრს საზოგადოებრივ ცხოვრების სინონიმად მიაჩნია, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. ეს ცრუმორწმუნოება, რადგანაც საზოგადოება და სახელმწიფო სინონიმები არ არიან, პირიქით სახელმწიფო უარყოფაა საზოგადოებისა.

ადამიანთა საზოგადოება მთელი საუკუნოებით არსებობდა სახელმწიფოს წარმოშობამდე. სახელმწიფო საზოგადოების ერთი განსაზღვრული ფორმაა, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი მომენტია. სახელმწიფო საზოგადოებაში საჭირო შეიქნა მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოება მებრძოლ კლასებად დაიყო და როცა ამ კლასთა ბრძოლას რეგულიატორი დასჭირდა. სახელმწიფო გაბატონებული კლასის ქმნილებაა, რადგანაც იგი იძულებული შეიქნა ძალიან დაეცვა უზურპაციის უფლებით შენაძენი უპირატესობანი, სახელმწიფო ორგანოა იმ უფლებისა, რომელიც მყარდება ეკონომიურად არა თანასწორთა შორის? სახელმწიფო, მართალია, ორგანიზაციაა, მაგრამ ასეთი ორგანიზაცია, რომელსაც მიზნადა აქვს არსებული საკუთრების ფორმის დაცვა და რადგან არსებული ფორმა საკუთრებისა კერძო საკუთრებაა—აშკარაა დაცვა არსებული საკუთრების ფორმისა—არის იმავე დროს დაცვა არსებულ ექსპლოატაციისა, მართლაც, ძველი დროიდგანვე ყველა კლასობრივი საზოგადოება სახელმსიფოზე ეყრდნობოდა და მასში ხედავს თავის არსების გარანტიას. როგორიც უნდა იყოს ფორმა სახელმწიფოსი, ის ყოველთვის წარმოადგენს გაბატონებულ კლასის ან კლასების „აღმსრულებელ ორგანოს“, რომელიც იცავს არსებულ კერძო საკუთრებაზე დამყარებულ ეკონომიურ ურთიერთობას. მაშასადამე სახელმწიფო გაბატონებულ კლასების არეანოა, დაჩაგრულ და თავისუფლებისთვის მებრძოლ კლასების საწინააღმდეგოთ მიმართული.

არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას სახელმწიფო იცავს ორნაირად: ის სდევნის ყველა იმას, ვინც წინააღმდეგ არსებული წესწყობილების და მის დასარღვევად იბრძვის. ყოველ დანაშაულს არსებულ უფლების წინააღმდეგ ის სჯის თავის მეორე ორგანოთი—სასამართლოთი.

ეს ორი ფუნქცია—გაფრთხილება დაშინება და დასჯა შეადგენს დედა ძარღვს ყოველგვარ სახელმწიფოსას. წარმოუდგენელია სახელმწიფოს არსებობა ისე, რომ მას ერთი ორი ფუნქცია არ ჰქონდეს.

როგორიც უნდა იყოს უფლება და ვინც უნდა იყვეს მისი მომწესრიგებელი,—ის ყოველთვის არსებული დამოკიდებულებათა დაკანონებას წარმოადგენს. რომ განიხილოთ მთელი თანამედროვე კანონები, დარწმუნდებით, რომ უზარმაზარი მანქანა სახელმწიფოსი უმთავრესად მოძრაობს იმისთვის, რომ დაიფაროს ნაძალადევ დარღვევისაგან არსებული ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა. მთელი რიცხვი არსებულ კანონთა შეიძლება გაყოფილ იქნას სამ კატეგორიად:

1) არსებულ კანონთა უმრავლეს ნაწილს მიზნად აქვს დაცვა საკუთრებისა და მესაკუთრეთა.

2) მეორე უმცირესი ნაწილი იცავს სახელმწიფოს და მის ნების აღმსრულებლებს.

3) მესამე და სულ უმცირესი ნაწილი კი იცავს საზოგადოდ ადამიანის პირადობას, სუსტებს, ბავშვებს და უძლურ-დავარდნილებს.

პირველი ორი კატეგორია არის კლასიური ხასიათის კანონები და მათზე შეჩერებაც არ გვჭირია, რადგანაც ყველამ იცის, თუ ვისი საკუთრებაა დასაცავი.

ამ სახის კანონები, როგორც კლასობრივი, რასაკვირველია, კლასობრივ საზოგადოების დანგრევასთან ერთად—პროლეტარიატის გამარჯვების პირველსავე დღეს უნდა იქნან მოსპობილნი; მხოლოდ რაც შეეხება მესამე კატეგორიას კანონთა, რომელნიც ადამიანის თავისუფლებასა და უფლებებს შეეხება, ეს ის ზნე-ჩვეულებანი და სახელმძღვანელო პრინციპებია, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობის საზოგადოებრივმა ცხოვრებამ შეჰქმნა, მაგ. აკრძალვა მკვლელობისა, დაცვა სუსტთა და დავრდომილთა და სასარგებლო საზოგადო დაწესებულებათა ცნობილ იყვნენ კაცობრიობის მიერ სახელმწიფოს დაარსებამდე. ხალხის საზოგადოებრივი ინსტიქტიდან გამომდინარე ზნეჩვეულება კი დაკანონებას არ თხოულობს, რადგან ისინი ყოვლ კანონზე ადრე არსებობდნენ და შემდეგშიაც იარსებებენ, ვინაიდან ისინი ყოველ კანონზე ზევით დგანან და მეტი მნიშვნელობაც აქვთ ცხოვრებაში. მათი არსებობისათვის სახელმწიფო არ არის საჭირო. დაკანონება ხალხის ზნე-ჩვეულებისა, რომელიც მისი მეორე ბუნება, აგრეთვე საჭირო არ არის, რადგანაც ის ცვალებადია, და დაკანონებით მათი განვითარების გზა იხშვება. დაკანონება კი იმ დებულებათა, რომელნიც ხალხის ბუნებას, ზნე-ჩვეულებას ეწინააღმდეგება, მავნებელია. მართლაც და თუ კანონი ბუნებრივ კანონს ეგუება—ის მეტია, რადგანაც ბუნების კანონს ადამიანი ისედაც ვერსად წაუვა; თუ კი არ ეთანხმება—იმ შემთხვევაში ის მავნეა. სახელმწიფო და უფლება, რომელნიც განუყრელნი არიან. როგორც სჩანს, არ არიან წარმომადგენელნი არც მთელი საზოგადოების უმრავლესობისა. მათი აღმოცენება საზოგადოებრივი ცხოვრების კი არა, საზოგადოებაში საზოგადოებრივი პრინციპის დარღვევის—კლასთა აღმოცენების და ბრძოლის შედეგია და იგი მათ არსებასთან განუყოფელად დაკავშირებულია. სახელმწიფო წარსულის იარაღია მომავლის წინააღმდეგ.

თუ სადმე ისტორიაში არის ბრწყინვალე მომენტი კულტურისა მეცნიერების და ხელოვნების ჩქარის ნაბიჯით წინსვლისა; ეს **მომენტები** ეფარდებიან არა იმ ხანას, როცა სახელმწიფო ძლიერდებოდა და ჰყვაოდა, არამედ იმ ხანას როცა სახელმწიფო ეცემოდა და უძლურდებოდა. კულტურის, ხელოვნების და მეცნიერების განვითარების იარაღი თვითმოქმედი და ინიციატივის მქონე ხალხია, სახელმწიფო კი ჰკლავს და ახშობს ამათ ინიციატივას. ადამიანის პირადობის თავისუფლება და სახელმწიფო ორი თავიდგანვე მებრძოლი ანტაგონისტი ძალაა. ერთის გამაჯვება—მეორეს დაუძლურება და სიკვდილია. სახელმწიფო თავისუფალ ადამიანს არ იცნობს, მას მხოლოდ მოხელე და ქვეშევრდომი უნდა. სახელმწიფო ეჩრება ხალხის მოქმედების ყოველ დარგში, ის განაგებს და აწესრიგებს ყოველივეს; წარმოებას, მოხმარებას, ადამიანთა შორის ურთიერთობას. ის არის ყველაფერი და ყველაფერსაც ის ნთქავს. ის ოჯახში შედის. ზნეობის ნორმებსაც ადგენს, საწოლ ოთახებში მომხდარ „სკანდალებსაც“ არჩევს და საერთაშორისო საქმეებსაც არიგებს.

ასე და ამგვარად სახელმწიფო შიგნით თავისუფლების შემაფერხებელია. გარედ კი მუდმივი კონფლიქტების მიზეზია. სახელმწიფო მჩაგვრელია არა მარტო აწმყოში—არამედ მომავლისაც. სახელმწიფო ვალებით სცხოვრობს, რომელთაც აწმყო ვერ იხდის სისრულით და დიდი ნაწილი მომავალ თაობას აწვება თავზე მძიმე ლოდათ, ამით კი თვით სახელმწიფო არის ერთი დიდი მიზეზი ხალხის გაღატაკებისა; სახელმწიფო ერთი დიდი, კოჯექტიური ექსპლოატატორია არსებითად.

მაშასადამე, თუ ჩვენი დროის პროგრესი ილიუზია არ არის ის კერძო საკუთრებასთან ერთად უკანასკნელად დაამხობს თანამედროვე სახელმწიფოსაც. მასთან განუწყვეტელი ბრძოლა ახასიათებს წარსულს, ამითვე ხასიათდება აწმყო და მისი დანგრევა კიდევ მიზანია მომავლისა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ უკანონოდ და უსახელმწიფოდ საუკუნოები არსებობდა და ვითართდება საზოგადოება, აღამიანთ ერთმანეთი არ დაუჭამიათ, ჩვენამდის მოახწიეს და მომავალშიაც შესძლებენ უმათოდ ცხოვრებას, მით უფრო, რომ ეხლანდელი კულტურის, მეცნიერების და ტეხნიკის განვითარების მეოხებით უფრო მეტი საშუალებაა შეთანხმებული და ჰარმონიულ ცხოვრებისათვის.

(დასასრული იქნება)

დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია.

(გაგრძელება იხ. „ახ. ნაკ.“ № 33)

სწორედ იმის გამო, რომ სოც.-დემოკრატიას ღრმადა სწამს პარლამენტის ყოვლად შემძლებლობა, იგინი კბილითა და ფრჩხილებით ებღაუჭებიან იქ შექმნილ თავის ბატონობას და არაფერს არ ერიდებიან, რომ ეს უმრავლესობა შეინარჩუნონ. ამის შედეგი იყო სწორედ ის ყოვლად მახინჯი და ანტი-დემოკრატიული საარჩევნო კანონი, რომელიც მათ ჩვენში შემოიღეს. ამ კანონით მათ უარყვეს უწმინდესი, ძირითადი უფლება დემოკრატიისა—თვითონ, პირდაპირ აერჩია თავისი წარმომადგენელი თავის კუთხეში, თავის თემში. ამ უფლების მაგიერ ჩვენს მოქალაქეს მიაჩეჩეს ხელში ხასთვის გაუგებარი დანომრილი ფეხ-პარიტეტი და უბრძანეს: ყუთში ჩაყარეო. ამასთან ერთად დაავალეს მას, ერთად მიეცა ხმა 130 დეპუტატისათვის, რომლებიც არც იცნობს არც უნახავს და არც არავითარი კავშირი არა აქვს მათთან: გამოვიდა, რომ მოქალაქე ირჩევდა პარტიას და არა დეპუტატს. გაგონილა ამისთანა ახირებული დემოკრატიზმი?!

მიბრძანეთ, როგორ მოძებნოს დემოკრატიამ თავისი არჩეული დეპუტატი, როგორ მოსთხოვოს მას პასუხი? თუ ამისი უფლება მას არა აქვს? სად არის ხალხის ბატონობა, მისი სუვერენობა? გაგიგონიათ ისეთი არჩევნები, რომლის შემდეგ შენს არჩეულ რწმუნებულს ველარც კი იპოვნი და ის კი დაგიდგენს ათასგვარ კანონებს და მერე თოფითა და მათრახით გიბრძანებენ ამ კანონების ასრულებას? რომელი ჭკუათმყოფელი მოაწერს ასეთ რწმუნების ქაღალდს ხელს? ნამდვილად კი დეპუტატი სწორედ ამ რწმუნების ქაღალდით უნდა იყოს აღჭურვილი, მას უნდა ჰქონდეს ამომრჩევლების მანდატი, დავალება. ამის მზგავსი ჩვენში არაფერია და ამიტომაც ამ საარჩევნო სისტემას საერთო არაფერი აქვს დემოკრატიზმთან. მთელი ჩვენი ცხოვრება მოშხამულია ამ მახინჯი სისტემით. არა მარტო საკანონმდებლო ორგანოები, არამედ ყველა ადგილობრივი თვითმართველობანი ამ კანონის წყალობით გაივსო უცხო ხალხით, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, არაფერი არ აკავშირებთ იმ თემებთან, იმ საზოგადოებასთან, რომლისაგანაც ისინი ვითომ არჩეულნი არიან. ასეთი გარემოება იწვევს სამართლიან საყვედურს ხალხში, რომელიც ამბობს: „თუ მე ვირჩევ, მე უნდა ავირჩიო ვინც მინდა, თუ სხვა ირჩევს, მე არა მკითხავენ, ხმას რაღაზე მაძლევინებენ, არ ვიციო“.

მაგრამ მე მოგახსენებთ, რომ ეს სისტემა ერთ ერთი დამახასიათებელი ფაქტია ჩვენი სოციალ-დემოკრატიის უაღრესად ცენტრალისტური სულის კვეთებისა, რომლისთვისაც სახელმწიფო საშუალება კი არ არის ხალხის სამსახურად მოწოდებული, არამედ მიზანი, ხალხზე უმაღლესი რამ, ხალხის მართველი და მის თავზე ზევიდან სოც.-დემოკრატიული ბედნიერების დამფრქვევი.

ცენტრალიზმი კი მათთვის დღეს აუცილებელია ძალა-უფლების შესანარჩუნებლად, როგოროც მთავრობაში და პარლამენტში, ისე ადგილობრივ მუნიციპალურ თვითმართველობებში.

ამავე პოლიტიკის შედეგია, რომ მთავრობამ იმავე სახით დასტოვა ადმინისტრაცია, როგორც იყო:—ცენტრალისტური ორგანიზაციით. მხოლოდ სახელი გამოუცვალა მათ—პრისტავის მაგიერ, კომისარი დაარქვა და სტრაჟნიკის და პოლიციელის მაგიერ,—მილიციონერი. ნამდვილად მათი გამგებლობა თითქმის არაფრით გაირჩევა ძველი მართველობისაგან, რადგან ისინი არავითარ პასუხს არ აგებენ ხალხის, თემის წინაშე. პირიქით ძველებურად თავი ბატონათ მოაქვთ და მილიციონერის გამოჩენაზე სოფელში ამბობენ: მთავრობა მოდისო.

თითქოს მთავრობა ხალხის საფრთხობელა იყოს და არა მისი მსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხელე კი მოხელე არის. რა ძველი, რა ახალი- რასაც უბრძანებს უფროსი, იმას აკეთებს და უმეტეს შემთხვევაში ხან უფროსის საამოდ, ხან კი საეშმაკოდ ძალიან ბევრს ერთგულობს ხალხის ზურგზე, რაიც დემოკრატიას ძალიან ძვირად უჯდება, როგორც ფულით ისე ნერვებით.

აიღეთ სხვა დარგები, თუ გნებავთ სურსათის საქმე. აქაც იმავე ცენტრალიზმა და ბატონობის სურვილმა გააფუჭა ყველაფერი. რესპუბლიკამ, რომელიც ჯერ კიდევ ძლივს დაიარება მოუმაგრებელ ფეხებზე, მიმართა მონოპოლიის სისტემას და ყველაფრის ხელში დაჭერა მოისურვა. ხალხს სული შეუწუხა დაუსრულებელმა რეკვიზიციამ და სასოწარკვეთილებამდის მიიყვანა იგი. დახმარების მაგიერ, მთავრობა პირდაპირ სულს უხუთავდა მოქალაქეს თავისი ახირებული გამოკვების სისტემით.

ასევეა ყველა სხვა დარგში. დღევანდელი ჩვენი მთავრობის ყოველი ნაბიჯი იმის დამამტკიცებელია, რომ ეს კურსი სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა, მთელი ძალა-უფლების მთავრობის ხელში მოგროვებისა, ადვილად არ შეიცვლება და ვაი თუ ასეთივე სახით მოგვევლინოს იგი ჩვენს კონსტიტუციაში.

როგორც მოგახსენეთ დემოკრატიზმის ნიშანდობლივი თვისებაა ხალხის სუვერენობა, მისი ნების უპირატესობა. ნამდვილი დემოკრატიზმი მოითხოვს, რომ მისი მთავრობა და პარლამენტი მის წინაშე ნამდვილად აგებდნენ პასუხს, რომ ყოველგვარი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა და გადაწყვეტა მხოლოდ დემოკრატიას შეუძლია და არა მის ვექილებს დეპუტატებს, რომელთა მოვალეობა მხოლოდ შეამზადონ საკითხები და მიმდინარე საქმეებს გაუძღვენ. ისარგებლებს ამ უფლებით ხალხი, ან როდის, ეს მისი საქმეა და არავის უფლება არა აქვს ხალხს ინდეფერენტიზმი დასწამოს მაშინ, თუ უმნიშვნელო საქმეებისათვის თავს არ იწუხებს და თავის ვექილებს ანდობს მათ მოგვარებას.

ნამდვილად კი ჩვენი სოც.-დემოკრატების მოღვაწეობაში ნასახიც არ არის ამგვარი წყობილებისაკენ მისწრაფებისა, რაიც საშიშ სიმპტომად უნდა ჩაითვალოს.

ყველა ზემოდ ნათქვამის გარდა, ერთი გარემოებაა კიდევ, რომელიც უომედოთა გვხდის სოციალ-დემოკრატების შესახებ. საქმე იმაშია, რომ ისინი იმთავითვე დაჟინებით იმოერებენ დაზეპირებულ თეორიას, რომ შეუძლებელია კერძო კაპიტალიზმის განვითარების შეზღუდვა და შეფერხება, რადგან ეს უკან დასწევს ჩვენს განვითარებას და დაგვაშორებს სოციალიზმსო. მათი აზრით, ჩვენში უნდა განვითარდეს ბურჟუაზიული კაპიტალიზმი უაღრესათ, ავიდეს იგი ევროპის კაპიტალიზმის სიმაღლეზე, და მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების რადიკალურ რეფორმებზეო.

„ამიტომაც, ამბობენ ისინი, ჩვენ ვერ ავსცდებით ისტორიის რკინის კანონის მიერ ნაჩვენებ გზას, ვერ ავსცილდებით ბურჟუაზიულ რესპუბლიკასო. ჩვენ იძულებული ვართ ავაშენოთ ბურჟუაზიული სახელმწიფო და ამაშია ჩვენი ისტორიული ვალის სიმწარეო“.

რას ნიშნავს ასეთი განცხადება? მაშ რაღად გამოაცხადა ნოე ჟორდანიამ 26 მაისს საქართველო დემოკრატიულ რესპუბლიკად: მე არა ვთვლი მათ ისეთ გულუბრყვილო ხალხად, რომ არ იცოდნენ განსხვავება ბურჟუაზიულ და დემოკრატიულ რესპუბლიკათა შორის. ისე როგორც არისტოკრატიული და ოლიგარხიული რესპუბლიკა არ არის დემოკრატიული რესპუბლიკა, აგრევე არა ჰგავს მას ბურჟუაზიული რესპუბლიკა.

შეგიძლიათ ცენზიც მოსპოთ იქ, მაგრამ თუ დასტოვებთ მთავრობის და მართვაგამგეობის ცენტრალიზაციას, ჩამოაშორებთ ხალხს სახელმწიფო საქმეებს და მხოლოდ ხმის მიცემის უფლებას დაუტოვებთ მას, სულერთია, ასეთი სახელმწიფო რჩება მჭრელ იარაღად ბურჟუაზიის ხელში და მას დემოკრატიზმის არა სცხია რა. გაიხსენეთ ენგელსის სიტყვები: „ბოლოს და ბოლოს შეძლებულთა კლასი ბატონობს საყოველთაო ხმის მიცემის საშუალებითაო“.

მაშასადამე დემოკრატიული რესპუბლიკის დამახასიათებელი თვისება საყოველთაო საარჩევნო უფლება კი არ არის, არამედ მართვაგამგეობის დეცენტრალიზაცია და ხალხის აქტიური, პირდაპირი მონაწილეობა როგორც გამგეობაში, ისე კანონმდებლობაში.

დემოკრატიული წყობილება უსათუოდ ნიშნავს ბურჟუაზიის ალაგმას და კერძო საკუთრების შეზღუდვას. ამაზე კი სოც.-დემოკრატები არ დათანხმდებიან, რადგან ეს, მათი მსოფლმხედველობით, ისტორიის ჩარხის ტრიალის დაბრკოლებად მიაჩნიათ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მათ მოსპეს სოფლად თავად-აზნაურობის საკუთრება და მის ნაცვლად ფართო გზას უხსნიან შეძლებულ, ფულიან ელემენტებს „კუპჩებით“ შეიძინონ ჩამორთმეული მიწა. მართალია ამბობენ, ნორმაზე ზევით არ შეიძლებაო, მაგრამ ყველამ კარგად იცით, რომ ეს ნორმა ცარიელი სიტყვაა იქ, სადაც ფული მუშაობს და მით უფრო ჩვენში. ასე რომ. მიწა ბოლოს და ბოლოს ისევ შეძლებულ კლასს ჩაუვარდება ხელში და, საფრანგეთის დაგვარად, ფეოდალური საკუთრება მსხვერპლად შეეწირება ბურჟუაზიულ საკუთრებას, ხოლო დემოკრატია ისევ იჯარაზე და ღალაზე დარჩება და ბოლოს გაპროლეტადებით გაბედნიერდება, რაც სოც.-დემოკრატების აზრით, უეჭველად პროგრესსა და ისტორიის ჩარხის „წაღმა“ ტრიალს მოასწავებს.

აი, ასეთი რწმენის ხალხი არ შეიძლება გამოდგნენ ჰეშმარიტ დემოკრატიული რესპუბლიკის ამშენებლებათ, რადგან მას თავისი ლოლიკა აქვს, რომელიც სოც.-დემოკრატების ლოლიკას არ ეთანხმება.

ამ ორ მოწინააღმდეგეთა შორის ის დასძლევს, ვის ხელშიაც ძალა უფლებაა.

ამის გამო მათ ხელში დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას უცილობლათ ხიფათი მოელის.

ი. **ვარაზაშვილი.**

(შემდეგი იქნება).

———

წერილი ოზურგეთიდან.

როგორც საქართველოს დიდ ქალაქებში ისე აქაც შემოიღეს ახალი „ცენზი“; რა დაწესებულებაშიც არ ითხოვოს კაცმა ალაგი და რა მაღალი ნიჭის და გონების პატრონი არ იყოს იგი უეჭველში „ახალი ცენზი“ უნდა ჰქონდეს. მკითხველს გაუკვირდება „აბა, როგორ შეიძლება უცენზოთ რაიმე თანამდებობაზე მიღება“--ო; მართალია, ყოველივე ცოდნას შესაფერი მოწმობაც უნდა, მაგრამ აქ ცოდნის ,,ცენზს'' სულ არ აქვს ალაგი, მხოლოდ იყოს მენშევიკური მანდატი და თუ ასეთი გაქვს კარგი და საპატიო ალაგიც შენია, თუ არა და მუცელზე მოიჭირო ხელი და იხეტიალო უნდა ქუჩაში. ამიტომ დღეს ასეთ მანდატებს იძენენ ხშირათ ყველა ქუჩის ავარები და ძველი ყაჩაღები, ელირსებათ რაიმე ალაგს თუ არა დაიწყეყებენ თავიანთ ,,მოწონებულ'' და დიდი ხნით შეჩვეულ ,,საქებარ ხელობას'', ტენენ და ტენენ ჯიბეს. სანამ არ მობეზრდებათ. თუ ვინმემ გაბედა და საჩივარი აღძრა სათანადო პასუხსაც მიიღებს: პარტიული ამხანაგი და მენშევიკი ეს არის, შეჭმით კი ყველა შესჭამსო''.

ბევრს ცუდს და არა სასიამოვნო მოვლენას აქვს ალაგი გურიის დედაქალაქში ოზურგეთში; ადმინისტრაციის თავგასულობასაც აქვს ადგილი. გასულ თვეებში აი რა სამარცხვინო შემთხვევას ჰქონდა ალაგი. ერთს მშვენიერს საღამოს თფილისიდან ჩამოსული ბ. სვანიძე შედის ადგილობრივ კლუბში. წასვლის დროს ბ. სვანიძისაგან მიბარებულ ნაბადს ხონის ვიღაც მილიციონერი, ისხამს და მიდის, რის შესახებ სვანიძე სთხოვს გამგეს პასუხს, რომელიც უარით უპასუხებს, მხოლოდ დაჟინებით მოითხოვს ანგარიშის გასწორებას. ამ ხმაურობაზე შემოდის კლუბში ყოფილი ოზურგეთის მაზრის კომისარის თანაშემწე „გალოშვილის სახით“ ილარიონ ლომაძე და საქმის ვითარების გამოუკვლევათ, რევოლვერით ხელში ემუქრება სვანიძეს სიკვდილს, უკანასკნელი აღშფოთებული კოსისრის თანაშემწის ასეთ თავგასულობით, უმტკიცებს მას, რომ ხმაურობა გამოწვეულია ამა და ამ მიზეზისაგან და ანგარიშსაც გაუსწორებს, როგორც ნაბადი უკან დაუბრუნდება. სვანიძე იღებს ჯიბიდან ფულს და ეუბნება: „ფულით შემიძლია მთელი ოზურგეთი ვიყიდოვო''.

ფულის დამნახველს ი. ლომაძეს, მსუნაგ კატასავით, პირში ნერწყვი მოადგა; თავში რაღაც ,,ძველებურმა'' აზრმა გაურბინა და მჭიდროთ გაუჯდა ძვალსა და რბილში, მას თვალ წინ წარმოუდგა თავისი გრძელი ჯიბე, რომელსაც კიდევ ცოტა აკლია შევსება, და მომავალში უზრუნველყოფილი ცხოვრება, ის თვალამღვრეული ფიქრობს ,,და ფიქრიც ვით შეზარდა, იმედი არ წაიხდინა, სტაცა ხელი სვანიძეს და სადღაც გაიფრინა''. უკანასკნელიც დაეთანხმა მის მოთხოვნას. რომელიც წაიყვანა ვითომც და კამისარიატში. ნამდვილათ კი მდინარე ,,ბჟუჟის'' პირას, სადაც ი. ლომაძე და მასთან ვიღაც ორი მილიციონერი, ეტყობა ,,ბლოკისტები'', საქმის ასრულებას იწყებენ, თვით ი. ლომაძე უჭერს კისერში ხელს, სხვები კი ჯიბეს ახტებიან, მაგრამ... მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება დანაშაულობის დროს. ამათაც მისცენ ,,პრომოხ''-ი, სვანიძემ მორთო ყვირილი, რის გამო მოცვივდნენ ახლო მყოფნი მოქალაქენი და სვანიძე თავის ფულით გადაარჩინეს. ეს ამბავი სწვდა ყურში ყოფილ მაზრის კომისარ გერმანე ღლონტს, მაგრამ მან მიაფუჩუჩა საქმე და ხალხიც დააშოშმინა, მაგრამ სიმართლემ ოდნავ თავისი გაიტანა; სვანიძე თფილისში აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომლის შედეგათ მოჰყვა ი. ლომიძის თანამდებობიდან გადაყენება და გამოძიებაც დაინიშნა. მაგრამ როგორც ირკვევა, მისმა მცველებმა ამხანაგებმა შესძლეს საქმის რამდენიმეთ დაფარვა და ი. ლომაძემ ისევ ოზურგეთის მაზრის ერობაში მოიკალათა; ადგილობრივმა მთავრობამ ეს უკეთ იცის ყოველივე მისი და გერმანე ღლონტის ასეთი საქციელი, მაგრამ ყურს არ იბერტყავენ, რადგანაც როგორც სხვა საქართველოს მხარეებში ისე აქაც ,,მენშევიკ ცენზევიკები'' არიან და ილარიონ ლომაძე და მილიციის უფროსი გ. ღლონტიც ხომ მენშევიკურ ბუდიდან არიან ამოფრენილი და რა გასაკვირია თუ რომ პარტიულ მიდგომას აქაც ალაგი ჰქონდეს.

არის კიდევ სხვა საბუთები იმისა თუ ხშირათ მტყუანის ალაგას, მართალს აჯენენ ციხეში, უკანასკნელნი თვეობით და წლობითაც ციხეში იმყოფებიან.

არა ერთხელ ყოფილა აღძრული საჩივარი სამინისტროში უმართლოთ დასჯილებისაგან და ხშირათ სასურველი ნაყოფიც გამოუღია. ეხლაც რომ შეაღოს კაცმა ოზურგეთის სატუსაღოს კარები, რამდენ ,,პრეტენზიებს'' გაიგებს, რომ აგერ 6 თვეა რაც სატუსაღოში ვარ და ბრალდება არავითარი არ მაქვს წამოყენებული და არც გამომძიებელს გადამცესო. დამნაშავე კი სცხოვრობს თავისუფალ ჰაერზე, რადგანაც ,,მენშევიკია'' და უბრალო გადაყენებით დიდ დანაშაულს საზღვრავენ.

ბოლოს გეკითხებით თქვენ, ბატონებს ადმინისტრატორებს ქ. ოზურგეთისა, რას უზამდით გადაყენებულ ილარიონ ლომაძის ადგილზე, რომ უბრალო მშიერ, მუშა ყოფილიყო, ხომ ციხეში ამოალპობდით? ი. ლომაძეს კიდევ ხომ ,,სათანადო'' ალაგი ებოძა ერობაში? როდის დაიწყებს კაცი ოზურგეთში და მის მაზრაში ამ ორი პიროვნებების თავგასულობას მაინც? მაგრამ მათ ყველაფერი მიეტევებათ, რადგანაც ისინი ,,ცენზევიკები'' არიან. (სიკ).

,,**აქაური**''.

———

ახალი ამბავი.

———

მუშათა მოძრაობა კანადაში.

მუშათა მოძრაობა კანადაში დღითი-დღე იზრდება და ძლიერ ფართო ხასიათს ღებულობს.

———

ხდება ხშირათ გაფიცვები

მთელს ევროპაში მუშათა გაფიცვებია. მუშები თხოულობენ შეაჩერებულ იქნეს თეთრ-გვარდიელების გზავნა რუსეთში.

———

მოკავშირეები მთელს იმედებს აეყარებენ დენიკინზე.

———

ბათუმი.

ბათუმში დიდძალი საქონელი მოვიდა და მოდის კიდევ საზღვარეთიდან.

———

ახალი ჟურნალი.

გამოვიდა სამხატვრო ჟურნალი ,,სმარაგდი'' ვ. გორგაძის რედაქტორობით. ჟურნალში მონაწილეობენ; გალ, ტაბიძე, ლადო მაჭავარიანი, სიმონ წეველი, რაუდ გოგოხიძე, ვ. გორგაძე, აკ. ბერეკაშვილი და ტ. წალენჯიხელი.

———

ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ დღეს, 13 ივლისს, დილის 9 საათზე მუშათა კლუბში (პლეხანოვის პრ. 65) დანიშნულია არაჩვეულებრივი საერთო კრება კავშირს წევრებისა. დღიური წესრიგი; 1, გამგეობის მოხსენება, 2, ტარიფის გადიდებისა და სატარიფო პალატის შესახებ. 3, საღიკვიდაციო ფულის შესახებ. 4, სარევიზიო კომისიის არჩევნები. 5, მუშათა დეპუტატების საბჭოში წარმომადგენლების არჩევა. 6, მიმდინარე საქმეს. წევრებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრან კრებას.

რედაქტორ-გამომცემელი.

სარედაქციო-კოლეგი

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთთხელ

კვირაობით

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

სტამბა ქართულ ბეჭდვითი ამხანაგბის“ გოლოვინის ქუჩ., ტელ. 4—73.